ხელოვნურად დეფორმირებული პრაქტიკის მატარებელი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხის შესწავლისათვის

(ადრეული შუასაუკუნეების სამთავროს სამაროვნის მაგალითზე)

თავართქილაძე ნინო,
ივ. ჯავახიშვილის სახელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ninotavartkiladze3@gmail.com

DOI: https://doi.org/10.62343/arch.2020.6

ხელოვნური დეფორმაციის ჩვეულების პრაქტიკა გეოგრაფიულად და ქრონოლოგიურად დაშორებულ მრავალ კულტურაშია გავრცელებული. ყველაზე ადრეული დეფორმაციები ცნობილია ძვ.წ X-IX ათასწლეულში შანიდარის გამოქვაბულიდან (ერაყი) და წინააზიის ზოგიერთი ნეოლითური კულტურებიდან [Trinkaus, Erik. 1982:198-199], ხოლო საქართველოში ყველაზე ადრეული დეფორმაცია გვხდება ძვ.წ მეოთხე ათასწლეულის მეორე ნახევარში (ჭიათურა). ხელოვნური დეფორმაციის პროცენტულად ყველაზე დიდი მაჩვენებელი დაფიქსირებულია ადრეული შუასაუკუნეების სამთავროს სამაროვანზე (33.3%), რომელთა უმეტესი ნაწილი წრიული დეფორმაციის ვარიანტებითაა წარმოდგენილი. დეფორმაციის წრიული ფორმა მიიღწეოდა თავის ქალას ირგვლივი დაბინტვით.

თავის ქალას ხელოვნურ დეფორმაციებთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება არსებობს, ესთეტიკურიდან დაწყებული ცრუ მეცნიერული თეორიებით დამთავრებული (რომ ტვინს შეუძლია შეასრულოს გარკვეული ტიპის აზროვნება მისი ფორმიდან გამომდინარე). ერთ-ერთი თანამედროვე თეორიის თანახმად, დეფორმაციას ახორციელებდნენ, მეტწილად, გარკვეული ჯგუფის, ტომის ან ელიტარული სოციალური სტატუსის აღსანიშნავად. ამ მოვლენის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან უძველესი მიგრაციების მარკერად ითვლება და, მაშასადამე, იმ მოსახლეობებს შორის ნათესაურ კავშირებს აღნიშნავს, რომელნიც ეწეოდნენ ხელოვნური დეფორმაციის პრაქტიკას. ზოგიერთი მეცნიერის აზრით პარიეტალური (თხემის) და ფრონტო-ოსიპიტალური (შუბლ-კეფის) დეფორმაციების ჩვევა, როგორც ჩანს, ეთნიკური ხასიათისაა.

თავის ქალას ხელოვნურ დეფორმაციასა და დეფორმანტთა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ერთგვარი შეხედულება არ არსებობს.

ზოგის აზრით, ანატომიური თვალსაზრისით ხელოვნური დეფორმაცია იწვევს თავის გრძივი დიამეტრის შემცირებას და თავის სიმაღლის მნიშვნელოვან ზრდას, ხოლო თავის ქალას ფორმის ცვალებადობა არ იწვევს მოცულობის შეცვლას. მაშასადამე, დეფორმაცია არ იწვევს თავის ტვინის ფუნქციების დარღვევას, რადგან მისი მთლიანობა არ ირღვევა. დეფორმანტებს არ აღენიშნებათ შიდა წნევისა და სისხლის მიმოქცევის პათოლოგია.

XX საუკუნის 70-იან წლებში ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის თანამშრომელთა მიერ ჩატარებული იყო თავის ქალას წრიული დეფორმაციების სპეციალური კვლევა. ხორეზმისა და ვოლგისპირეთის აღმოჩენებზე დაყრდნობით, მკვლევრები თვლიან, რომ თავის ქალას წრიული დეფორმაცია არ იწვევს ორგანიზმის ფიზიოლოგიური ფუნქციების რაიმე სერიოზულ დარღვევებს. ამავე დროს, აღნიშნავდნენ, დეფორმაციის შედეგად იცვლება თურქული კეხის დახრის კუთხე

(სადაც ჰიფობიზია, რომელიც არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, ჰორმონების მოქმედებას, ნერვიულ სისტემას), რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სუსტად გამოხატული ეპილეფსია.

სხვათა აზრით, თავის ქალას ძლიერმა დეფორმაციამ შესაძლოა გამოიწვიოს თავის ქალას შიდა წნევა და ამის შედეგად ნერვიული სისტემის მოშლა. მაშასადამე, ასეთ შრომატევად და საფრთხის შემცველ კულტურულ ინოვაციას უნდა ჰქონოდა არსებობის მეტად მყარი საფუძველი. დღემდე გაურკვეველია ის სერიოზული მოტივები, მრავალგზის რატომ უბრუნდებოდა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე სხვადასხვა წარმომავლობის ხალხი, სხვადასხვა დროს ხელოვნური დეფორმაციის პრაქტიკას. იგი არქაულ საზოგადოებაშივე იყო მიღებული, განსხვავებული ფორმითა და სახით. დროდადრო მივიწყებული დეფორმაციის პრაქტიკა სპორადიულად ცოცხლდებოდა,წარუშლელი“.

ე. ჟიროვის მიერ შემოთავაზებული მეთოდი (1940) განიხილავს მორფოლოგიურ ნაირსახეობებს, რომლებიც განპირობებულია განზრახ ან განუზრახავი დეფორმირებით. იმის მიხედვით თუ თავის რომელ უბანზე აღინიშნებოდა ზეწოლა, მან გამოყო 4 შემდეგი ტიპის დეფორმაცია:

1. კეფის (Occipitale) დეფორმაცია წარმოიქმნება ბავშვის ხანგრძლივი დროით ზურგზე წოლის შედეგად. ამ ტიპის დეფორმაციას აკავშირებენ ბავშვის აკვანში გაზრდის ტრადიციასთან, როდესაც ბავშვის თავი თავისუფალია და დეფორმირდება საკუთარი თავის სიმძიმით. მორფოლოგიურად ამ ტიპს ახასიათებს კეფის ძვლის ასიმეტრია და შებრტყელება, ტვინის ქალას კომპენსატორული გაფართოება და თავის ქალას სიგრძის შემცირება, ხოლო შუბლის ძვალის აგებულება უცვლელი რჩება. ასეთი ტიპის თავის ქალები ფართოდაა გავრცელებული და ხასიათდებიან ბრაქიკრანიით.

2. შუბლ - კეფის (Fronto- occipital) დეფორმაცია გამოწვეულია აკვანში ბავშვის თავის დაფებით ან სახვევებით დაფიქსირებით. წინა დეფორმაციის ტიპისგან განსხვავებით აქ ხორციელდება ორმხრივი ზეწოლა შუბლიდან კეფაზე და პირიქით .

3. თხემის (Parietale) დეფორმაცია მიიღწევა ბრეგმის უკან თავის ქალასარქველის სიმაღლის შემცირებით. ამას აღწევდნენ თხემზე დაფის სახვევით მიმაგრებით, რომელიც ნიკაპის ქვეშ იკვრებოდა. ამ ზეწოლით თხემის ძვლების თაღი მცირდება, ხოლო შუბლის და კეფის დახრა იზრდება .


4. ცირკულარული ანუ რკალისებრი (Circular) (ტაბ.I) დეფორმაცია განპირობებულია სარტყელივით გადანაწილებული ზეწოლით, რომელიც თავს ბოჭავს ყველა მიმართულებით. შედეგს აღწევენ მჭიდრო სახვევით ან თავსაბურავით. განარჩევენ ცირკულარული დეფორმაციის ორ ტიპს: მაღალს ანუ მაკროკეფალიას, რომელსაც იწვევს შუბლ-კეფის ზეწოლის სარტყელი და დაბალს, როდესაც თავზე მჭიდრო სახვევი ფარავს თხემ - ქვედა ყბას . თუმცა არსებობს მათ შორის გარდამავალი ფორმებიც.

ჟიროვი აღნიშავდა, რომ დეფორმაცია, როგორც წესი, მთავრდება თავის ზრდის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე. ორგანოები და ქსოვილები, რომლებიც კვლავ უბრუნდება განვითარების ნორმალურ პირობებს, მიისწრაფვის აღიდგინოს შესაბამისი ფორმა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ბავშებში ეს დეფორმაციები ნაკლებადაა გამოხატული ვიდრე ზრდასრულებში.

ნეუმანი (Newman 1942) გვთავაზობს თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის შვიდ სახეობას (ტაბ. II).



ტაბ. I Tab.



ტაბ. II Tab.

1 - ობელიონის დეფორმაცია (ობელიონი- კრანიომეტრული წერტილი საგიტალურ ნაკერზე, თხემის ხვრელებს შორის) ამ ტიპში პარიეტალურ და ტემპორალურ რეგიონებში მოქცეული ტვინის ქალა არის გაფართოებული ბრეგმას და ლამბდას შორის.

2 - ლამბდოიდური დეფორმაცია - კეფის დეფორმაცია ვლინდება 50-60 გრადუსიანი ყური-თვალის კუთხით.

3 - მარტივი კეფის დეფორმაცია. ნეუმანი ვარაუდობს, რომ ეს ალბათ შემთხვევითი არ არის, ეს ტიპოლოგია დაკავშირებულია აკვანთან [Ortner 2003, Dingwall 1931].

4 - შუბლ-კეფის დეფორმაცია- ორმხრივი დაბრტყელებით ვიღებთ ვიწრო შუბლის ძვალს.

5 - ფრონტალურ-ვერტიკალური კეფის დეფორმაცია. გამოხატული კეფის ძვლის დაბრტყელებით.


6 - ფრონტო-პარიეტალური დეფორმაცია - ამ ტიპში სამი სიბრტყე არის დაბრტყელებული თითქმის სწორი კუთხით. წინა ტიპისგან იმით განსხვავდება, რომ კრანიალური განვითარება შეფერხებულია ზედა პარიეტალურ ნაწილებში, რომელიც იწვევს კომპენსატორულ განვითარებას გვერდითი მიმართულებით.

7 - პარალელური შუბლ-კეფის დეფორმაცია - ამ ტიპში ნეუმანი გვთავაზობს, რომ კეფის მიდამოს განვითარება დამოკიდებულია კეფის ფუძის ბალიშების შერევაზე ისე, რომ შეიქმნას შუბლის ძვლის განვითარების უხეში პარალელიზმი. თავის ქალას ლატერარული განვითარება, როგორც კომპენსაციის შედეგი.

სამთავროს სამაროვანი კვლევისათვის ორი ფაქტორის გამოა მნიშვნელოვანი, პირველი-ადრეულ შუასაუკუნეებში დეფორმირებული თავის ქალას რაოდენობა მატულობს; მეორე - იგი ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოდან ახლად წარმოქმნილი ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკური ცენტრი და დედაქალაქია (ახ. წ. VI საუკუნემდე), თუმცა სამთავროს სამაროვანი განათხარი მასალის მიხედით VIII საუკუნეშიც ფუნქციონირებდა. იგი მდებარეობს (ტაბ. III) მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქ მცხეთის ფარგლებში. ნაშრომის მთავარი ამოცანაა დადგინდეს ხელოვნურად დეფორმირებული პრაქტიკის მატარებელი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა. თუმცა დნმ-ის გარეშე მოსახლეობის ზუსტი ეთნოსის განსაზღვრა რთულია. შევეცდებით, რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით (ისტორიული, არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური შესწავლის საფუძველზე) განვსაზღვროთ სამთავროს დეფორმირებული პრაქტიკის მატარებელი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა.

ადრე შუასაუკუნეების სამთავროს სამაროვანზე გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური სამარხები, რომლებიც საკმაოდ საინტერესო ასპექტს წარმოადგენს დეფორმანტთა წარმომავლობის საკითხისთვის. სამთავროს სამაროვანზე გვხდება 12 (N 2, 7, 8, 12, 13, 187, 292, 298, 432, 38, 122) კოლექტიური სამარხი, საიდანაც 9 (N 2, 7, 8, 12, 13, 187, 298, 432, 292) სამარხში ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალებია აღმოჩენილი. სამარხი N7 (სამარხის ტიპი უცნობია) - დაკრძალულია 2 მამაკაცი, რომელთაგან ერთს (1603) ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალა აქვს, ხოლო მეორეს ნორმალური, სამარხი მდებარეობს XCVI ნაკვეთში. სამარხი N298 (ქვასამარხი)- დაკრძალულია ორი ქალბატონი, მათგან ერთს (1882) ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალა აქვს, ხოლო მეორეს ნორმალური. სამარხი N432 (ორმოსამარხი) წარმოდგენილია ერთი მამაკაცითა და ერთი ქალბატონით, ორივე მათგანს თავის ქალას განზრახ დეფორმაცია აღენიშნებათ. სამარხი N187 (ქვაყუთი)-

7 მიცვალებულია დაკრძალული, მათ შორის 2 წევს გულაღმა გაშოტილი, დანარჩენ მიცვალებულთა ძვლები არეულია, ანთროპოლოგიის ლაბორატორიაში არსებულ დავთრებში 7 მიცვალებულიდან აღნიშნულია 5 თავის ქალა (1590, 1591, 1638, 1639, 1640), საიდანაც 2 ბავშვია (N1590, 1591), 2 ქალბატონი (N1638, 1639), ერთი მამაკაცი (N1640). მათგან დეფორმაცია აღენიშნება მხოლოდ ერთ ქალბატონს (1638). სამარხი N13 (1609, 1614, 1615) - დაკრძალულია 3 ინდივიდი - ორი მამაკაცი (1614, 1615) და ერთი ქალბატონი (1609), დეფორმაცია აქვს მხოლოდ ერთ მამაკაცს (1614). სამარხი N12 (თიხის ფილასამარხი) წარმოდგენილია 4 ინდივით, აქედან 2 ქალბატონია (1613,1612), ერთი მამაკაცი (1645) და ერთი ბავშვი (1647), დეფორმაცია აქვს მხოლოდ ორ მათგანს, ქალბატონს(1613) და ბავშვს. სამარხი N2 (თიხის ფილასამარხი) წარმოდგენილია 2 ქალბატონით (1608,1620), დეფორმაცია აქვს 1 ქალბატონს (1620).



ტაბ. III Tab.

სამარხი N8 (ქვასამარხი) წარმოდგენილია 2 მამაკაცით (1504, 1607) და ერთი ქალბატონით (1503), დეფორმაცია აქვს მხოლოდ ქალბატონს. სამარხი N13 (ქვასამარხი) წარმოდგენილია 2 მამაკაცით (1614, 1615), რომელთაგან მხოლოდ ერთ მამაკაცს (1614) აქვს დეფორმაცია. სამარხი N292 (ქვასამარხი) წარმოდგენილია ორი მამაკაცით (1794,1872), მათ შორის მხოლოდ ერთ მამაკაცს აქვს დეფორმაცია (1794). უნდა აღინიშნოს, რომ თავის განზრახ დეფორმაციის კულტურა ფართოდ იყო გავრცელებული ადრეული შუასაუკუნეების საქართველოს და კერძოდ მცხეთის მოსახლეობაში. წარმოდგენილი მონაცემებიდან არ იკვეთება სტატისტიკურად დამაჯერებელი კავშირი სამარხის ტიპსა და მათში დაკრძალულ ხელოვნურად დეფორმირებული თავის მქონე ინდივიდთა შორის.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალები არანაირად არ განსხვავდება არადეფორმირებული თავის ქალების-

გან. მეცნიერთა მოსაზრება, რომ დეფორმანტები მაღალი სოციალური სტატუსის წარმომადგენლები არიან, სამთავროს სამაროვნის მიხედვით არ დასტურდება, რადგან მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ინდივიდებს ატანდნენ შესაბამისად მდიდრულ ინვენტარს, ხოლო სამთავროს სამაროვანზე ინვენტარის მიხედვით არანაირი განსხვავება არ შეიმჩნევა(ტაბ.IV,V). გარდა ამისა, თუ ისინი ელიტარული ფენის ან სხვა ეთნოსის წარმომადგენლები იყვნენ, უნდა ყოფილიყვნენ დაკრძალულნი სხვა წესით ან მათი სამარხები იზოლირებული უნდა ყოფილიყო იმ სამარხებისგან, რომელშიც არ იყვნენ დაკრძალულნი დეფორმანტები, დაკრძალვის წესი კი ყველგან იდენტურია. რაც შეეხება მათ იზოლირებულად დაკრძალვას, არც ეს ფაქტი ფიქსირდება სამთავროს სამაროვანზე. მაგალითად სამარხები N7, 8, 12, 13, 187 ჩრდილოეთ უბანშია განთავსებული, სადაც ასევე არადეფორმანტთა სამარხებიცაა. მათი განსხვავებულობა არც სამარხის ტიპში ჩანს. დეფორმანტები დაკრძალულნი არიან ოთხივე (თიხის ფილასამარხი, ორმოსამარხი, ქვაყუთი, ქვასამარხი) ტიპის სამარხში. რაც შეეხება კოლექტიურ სამარხებს, ასეთ სამარხებში ბუნებრივია იკრძალებოდნენ ერთი ოჯახის წარმომადგენლები (ცხრ.1).



ტაბ. IV Tab.



ტაბ. V Tab.


ცხრილი 1.

თავის ქალას N	სქესი	ასაკი	სამარხის N	გათხრის წელი	სამარხის ტიპი	დეფ/ ნორ	პერიოდი
1503	F	50-55	8	1976	ქვასამარხი	დეფ	IV-V
1504	M	45-50	8	1976	ქვასამარხი	ნორმ	IV-V
1590	InF		187	1976	ქვაყუთი		
1591	InF		187	1976	ქვაყუთი		
1602	F		7	1976			IV-V
1603	F	30-35	7	1976		დეფ	IV-V
1607	M	55-60	8	1976	ქვასამარხი		IV-V
1608	F		2	1976	თიხის ფილასამარხი		IV-V

1609	F	40-45	13	1976	ქვასამარხი		IV-V
1610	M		38	1976	ორმოსამარხი		IV-V
1611	M	60-65	38	1976	ორმოსამარხი		IV-V
1612	F	25-30	12	1976	თიხის ფილასამარხი		IV-V
1613	F	25-30	12	1976	თიხის ფილასამარხი	დეფ	IV-V
1614	M	45-50	13		ქვასამარხი	დეფ	IV-V
1615	M	30-35	13		ქვასამარხი		IV-V
1620	F	40-45	2	1976	თიხის ფილასამარხი	დეფ	IV-V
1633	F	30-35	122		ქვასამარხი		IV-V
1634	M		122		ქვასამარხი		IV-V
1638	F	20-25	187		ქვაყუთი	დეფ	IV-V
1639	F	45-50	187		ქვაყუთი		IV-V
1640	M	40-45	187		ქვაყუთი		IV-V
1645	M	60-65	12	1976	თიხის ფილასამარხი		IV-V
1647	CH		12		თიხის ფილასამარხი	დეფ	IV-V
1794	M	60-65	292	1977	ქვასამარხი	დეფ	VI-VIII
1872	M	45-50	292	1978	ქვასამარხი		VI-VIII
1876	M	30-35	432	1978	ორმოსამარხი	დეფ	
1877	F	30-35	432	1978	ორმოსამარხი	დეფ	
1882	F	50-55	298	1978	ქვასამარხი	დეფ	
1883	F	20-25	298	1978	ქვასამარხი		

შესაბამისად, თუ ეს ფენომენი ელიტარულ ფენას უკავშირდება, დეფორმაცია უნდა ჰქონოდა კოლექტიურ სამარხში დაკრძალულ ყველა მიცვალებულს, რადგან ელიტარული ფენა არ ქორწინდებოდა შედარებით დაბალ სოციალურ ფენაზე. ამიტომ, ჩემი აზრით, დეფორმაციის პრაქტიკა დაკავშირებული არ უნდა იყოს მაღალ სოციალურ სტატუსთან. საინტერესოა რატომ მიმართავდა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დეფორმაციის პრაქტიკას. თუ ისინი არ განეკუთვნებოდნენ მაღალ სოციალურ ფენას, და თანაც ოჯახის ყველა წევრს არ ჰქონდა ეს პრაქტიკა, შესაძლოა დეფორმაციის მქონე მოსახლეობა მიგრანტები იყვნენ. ვინაიდან დეფორმაციის პრაქტიკა ხორციელდებოდა დაბადებიდან 4 წლამდე, ანუ ეს სულაც არ იყო მათი გადაწყვეტილება, დეფორმაციას უკეთებდნენ მშობლები. ამ მხრივ საინტერესოა სამარხი N12, სადაც დეფორმაცია მხოლოდ ქალს და ბავშვს აქვს. სამარხში ასევე დაკრძალულნი არიან არადეფორმირებული მამაკაცი და ქალი. შესაძლოა დეფორმანტი ქალი სხვა ეთნოსის წარმომადგენელი იყო, რომელიც დეფორმაციის პრაქტიკის მატარებელი იყო და შესაბამისად მანაც გაუკეთა დეფორმაცია ბავშვს.


ისტორიულად დამტკიცებულია, რომ სამეფო და მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელი ქალები ხშირად ქორწინდებოდნენ სხვა ეთნოსის წარმომადგენლებზე. გიუჩარდი და კავილიერი აღნიშნავენ, [Giuchard et al:1996: 338] რომ „ეგზოგამიის პრაქტიკა აუცილებელი იყო ეთნიკური ჯგუფის პოლიტიკური გაფართოებისა და სოციალური ერთობისთვის. შერეული ქორწინებები მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პოლიტიკურ მოტივებში“. თავის ქალას ხელოვნური დეფორმაცია მუდმივ კვალს ტოვებს გარეგნობაზე და ეს განსხვავებული ფორმა მიგრანტი ქალებისთვის ბავშვობის მუდმივი შეხსენება იქნება, ამასთან მომავალში გახდება მათი წარმომავლობის მტკიცებულება. მიუხედავად მათი უცხო წარმომავლობისა, ისინი იკრძალებოდნენ, როგორც ადგილობრივები, ადგილობრივი წეს-ჩვეულებებით და ადგილობრივი სამარხეული ინვენტარით. თუმცა მათი განსხვავებული თავის ქალა გამოარჩევს ადგილობრივი მოსახლეობისგან. სწორედ ამიტომაა თავის ქალას ხელოვნური დეფორმაცია წარუშლელი მარკერი. ამიტომაც,თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის შედეგად სხეული შესაძლოა გახდეს ეთნიკური ან სათემო იდენტობის სიმბოლო. [Blom2005] ამ მოსაზრებას ამყარებს სამარხი N 432, სადაც დაკრძალულნი არიან ქალი და მამაკაცი და ორივეს აქვს დეფორმაცია. ასევე სამარხი N 8, სადაც დაკრძალულნი არიან ორი მამაკაცი და ერთი ქალბატონი და მათგან მხოლოდ ქალს აქვს დეფორმაცია, შესაბამისად, შესაძლოა დეფორმანტი ქალი ყოფილიყო სხვა ეთნოსის წარმომადგენელი.სამარხი N187 - დაკრძალულია 5 ინდივიდი, აქედან 2 ჩვილი, 2 ქალი და ერთი მამაკაცი, დეფორმაცია აქვს მხოლოდ ერთ ქალბატონს, ამიტომ შესაძლებელია ეს ქალბატონი მიგრანტი ყოფილიყო. თუმცა სამარხებში N 292, 298, 13, 7, 2 დაკრძალულნი არიან წყვილ-წყვილად ერთი სქესის წარმომადგენლები და ყველა მათგანში მხოლოდ ერთ ინდივიდს აქვს დეფორმაცია.



ტაბ. VI Tab.

მაგალითად სამარხი N 292, რომელშიც დაკრძალულია ორი მამაკაცი, მხოლოდ ერთს აქვს დეფორმაცია. მიგვაჩნია, რომ ეს სამარხები ეჭვქვეშ აყენებს მოსაზრებას მათი სხვა ეთნოსის წარმომავლობაზე და შერეულ ქორწინებაზე, რადგან სამარხში სადაც კრძალავდნენ 2 მამაკაცს ან ორ ქალს და აქედან დეფორმაცია აქვს მხოლოდ ერთ მამაკაცს და მეორე შემთხვევაში მხოლოდ ერთ ქალს, ისინი ვერ იქნებოდნენ სხვა ეთნოსის წარმომადგენლები. სხვა ეთნოსის შემთხვევაში ვფიქრობ ორივე ქალბატონს ან ორივე მამაკაცს უნდა ჰქონოდა დეფორმაცია. თუმცა თუ მართებულად მივიჩნევთ ფაქტს, რომ დეფორმაციის მატარებლები განეკუთვნებოდნენ სხვა ეთნოსს, ჩნდება შეკითხვა, საიდან უნდა მოსულიყვნენ ისინი. არსებობს მოსაზრება, რომ ადრეშუასაკუნეებში გავრცელებული დეფორმაციები დაკავშირებულია ჰუნებთან (ტაბ.VI).

ჰუნები ჩვილებს ხშირად უკეთებდნენ თავის ქალას ხელოვნურ დეფორმაციას, ზოგჯერ ასეთი ფაქტები შეინიშნებოდა მათი ძალაუფლების ქვეშ მყოფ სხვა ტომებშიც. თავის ქალას დეფორმაციის ცირკულარული (წრიული) ტიპით დადგენილია ის გზა, რომელიც ჰუნებმა გაიარეს ჩინეთიდან შუა აზიისა და სამხრეთ რუსეთის სტეპებამდე (ტაბ.VII). ხელოვნურად დეფორმირებული V-VI საუკუნის თავის ქალები აღმოჩენილია ჩრდილო-აღმოსავლეთ უნგრეთსა და დასავლეთ ევროპის სხვა ნაწილებში.



თავის ქალას ხელოვნური დეფორმაცია აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. ჰუნების ექსპანსიის შემდეგ დეფორმაციის ცირკულარული ტიპი ჩნდება კავკასიის ტერიტორიაზეც. მაგრამ უფრო ადრეული ნიშნები დაფიქსირებულია მდინარე დონის მიდამოებში. დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი IV საუკუნემდე.

ტაბ. VII Tab.

მნიშვნელოვანია, რომ თავის ქალათა აბსოლუტური უმრავლესობა ევროპეიდული რასის ადამიანების იყო და არცერთი მათგანი არ ყოფილა მონღოლოიდური ტიპის. თავის ქალები შეიძლება ეკუთვნოდეთ გერმანულ ან სხვა ტომებს, რომელთა მშობლებიც ჰუნთა ტრადიციის დანერგვით ცდილობდნენ თავიანთი სტატუსი აე-

მაღლებინათ. პირველი მკაფიო მითითება, რომელიც არქეოლოგიურ ჩანაწერებში გვხვდება ჰუნების კულტურულ გავლენაზე არის ე.წ. ხელოვნური დეფორმაციის ჰუნური ტიპი. ჰუნური ტიპის დეფორმაციის პრაქტიკამ შექმნა მკაფიო ფიზიკური განსხვავება ელიტარულ ფენასა და ჩვეულებრივ მოსახლეობას შორის. ამგვარად, ვინც ჰუნური დეფორმაციის პრაქტიკას მიმართავს, აშკარად ცდილობს მიბაძოს მათ. ეს პრაქტიკა, ისევე როგორც ჰუნური შტრიხები, უმეტესად წარმოდგენილია დუნაის რეგიონში. მაგალითად ატილას მმართველობის პერიოდში დუნაის ტერიტორიაზე აღმოჩენილია მეომრების საფლავები. რუგები (აღმოსავლეთ გერმანიაში მცხოვრები ხალხი) და მათი მეზობლები, ტურინგები (ცენტრალური აღმოსავლეთი გერმანია) და ლობრადები ასევე მიმართავდნენ ჰუნური დეფორმაციის პრაქტიკას. (The Huns, Hyun Jin Kim, p-142-143) ტორეს რუფი აღნიშნავს, რომ II საუკუნის შემდეგ, ჩნდება ცირკულარული დეფორმაცია, სწრაფად ვრცელდება ევრაზიის სტეპებში და ხდება დომინანტური ფორმა, ანაცვლებს კეფის ტიპის დეფორმაციას. წრიული დეფორმაციის გამოჩენა დაკავშირებული უნდა იყოს ჰუნებთან. ჰუნებმა იმოგზაურეს ჩრდილოეთ ჩინეთიდან ცენტრალური აზიის სტეპების მიმართულებით და ასევე სამხრეთი რუსეთის სტეპებში. წრიული დეფორმაციის ტიპი, როგორც ჰუნების ეთნიკური ატრიბუტი, პირველად ჩნდება ცენტრალურ აზიაში პირველი საუკუნეების ბოლოს. სამხრეთი რუსეთის სტეპებში მცხოვრებ ხალხებს არ ჰქონდათ მოდიფიკაციის პრაქტიკა ადრე რკინის პერიოდში მანამ, სანამ ჰუნები არ გამოჩნდნენ. პირველ საუკუნეში, მას შემდეგ რაც ჰუნები გამოჩნდნენ ევრაზიაში, ცირკულარული ფორმა ვრცელდება ურალის მთიანეთიდან დუნაიმდე. სწორედ ეს არის ჰუნების გადაადგილების მტკიცებულება. სტეპების მოსახლეობის დაახლოებით 80%, რომლებიც სხვადასხვა ეთნოსის მომთაბარე ტომებს შეადგენდნენ, მიმართავდნენ თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის ზუსტად ანალოგიურ პრაქტიკას [Tot and Firstein:1976]. ადამიანები, მიუხედავად თავიანთი გენეტიკური წარმომავლობისა და ადგილობრივი ჩვეულებებისა, ცდილობდნენ მიებაძათ დამპყრობლებისთვის. დამპყრობლები გახდნენ პრესტიჟული ჯგუფი სტეპებში და ადგილობრივ მოსახლეობაში, რომელთაც სურდათ მიებაძათ მათთვის არა მარტო კულტურულ ასპექტში, არამედ გარეგნობითაც. აქედან გამომდინარე, ცირკულარულმა დეფორმაციამ, რომელიც წარმოიშვა როგორც კონკრეტული ელემენტი ჰუნების კულტურაში, დროთა განმავლობაში დაკარგა თავისი ეთნიკური შინაარსი. თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის პრაქტიკა, ამ შემთხვევაში, იყო პასუხი საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე, რომელიც უკავშირდებოდა ახალ პოლიტიკურ ძალას. თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის პრაქტიკა რეაგირებას ახდენს ფართო სოციალურ და პოლიტიკურ ატმოსფეროში ისე, რომ განიხილოს სხეულის მოდიფიკაციაში არსებული კულტურული ნიმუშები?

თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის ტიპები განსხვავდება გეოგრაფიული არეალის მიხედვით. სხვადასხვა გეოგრაფიულ ტერიტორიაზე დეფორმაცია განსხვავებულად მიიღწეოდა. მაგალითად ანდებში და ევრაზიის სტეპებში არსებული დეფორმაცია რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ანდებში არ ფიქსირდება პარიეტალური დეფორმაციის ტიპი. სამხრეთ ამერიკაში დეფორმაციის მისაღწევად იყენებდნენ სპეციალურ დაფას, ხოლო ასეთი ფაქტი არ ფიქსირდება ევრაზიის ტერიტორიაზე. იმ შემთხვევაში, თუ სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ ხელოვნურად დეფორმირებულ თავის ქალებს დავუკავშირებთ ჰუნებს, საჭიროა იმის მტკიცებულებაც, იყვნენ თუ არა ჰუნები კავკასიის ტერიტორიაზე. ქართლში ვითარება

რადიკალურად იცვლება V საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ქვეყანას სათავეში უდგება ვახტანგ გორგასალი. მისი მეფობის დასაწყისში ქართლში საკმაოდ მძიმე მდგომარეობა იყო. იმ დროს ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარე ჰუნები ადვილად ახერხებენ კავკასიის გადმოსასვლელების გადმოლახვას და იწყებენ თარეშს ქართლსა და სომხეთში. ვახტანგ გორგასალი წაყვანილი იყო შაჰანშა პეროზის (459-484) წწ.) მიერ, რომელმაც თავისი მეფობის დასაწყისისთანავე განაახლა ომი ჰუნებთან. წიგნში „ჰუნები“ ჰიუნ ჯინ კიმი წერს : - „აღმოსავლეთი რომის ელჩმა პრობუსმა, მიმართა უტიგურებს (მომთაბარე ტომები კასპიის სტეპებში), დახმარებოდა კონსტანტინოპოლის კავკასიელ მოკავშირეებს სპარსელების დამარცხებაში. უტიგურებმა აღმოსავლეთ რომაელების ნაცვლად დაიქირავეს ჯარისკაცები კავკასიის ჰუნებიდან, რომლებიც გააგზავნეს ლაზიკაში (დასავლეთ საქართველო), რათა დახმარებოდნენ იბერიის მეფე გურგენს“ (Hyun Jim Kim.2016:119). აქედან გამომდინარე, მტკიცდება ჰუნების კონტაქტი საქართველოში. ვინაიდან ნახსენებია იბერიის მეფე გურგენი და დაპირისპირება სპარსელებთან, შესაბამისად საუბარია VI საუკუნეზე. სამთავროს ტერიტორიაზე აღმოჩენილ დეფორმირებულ თავის ქალათა უმეტესობა კი IV-VI საუკუნეებით თარიღდება, რომელნიც წრიული დეფორმაციის (ტაბ. VIII) სხვადასხვა ვარიაციებს წარმოადგენენ. შესაბამისად, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი თავის ქალები უფრო ადრეულია,ვიდრე ჰუნების გამოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე. ამიტომ, ჩვენი აზრით საქართველოს ტერიტორიაზე მოდიფიცირებული თავის ქალები არ უნდა იყოს დაკავშირებული ჰუნებთან. თუმცა, სამთავროს ტერიტორიაზე გვხვდება წრიული დეფორმაციის სხვადასხვა ვარიაციები, რომელსაც შესაძლოა სხვადასხვა ჯგუფი ასრულებდა. ვინ იყვნენ ეს ჯგუფები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია, თუმცა არსებობს მტკიცებულება, რომ ალანები ნამდვილად იმყოფებოდნენ მცხეთის ტერიტორიაზე. ეს ფაქტი აღწერილია ისტორიულ ქრონიკებში, ცნობილია, რომ ფარნავაზ I და მისი ვაჟი საურმაგი (299-159) ალანების მოკავშირეები იყვნენ. ალანები თავის ქალას მოდიფიკაციას მიმართავდნენ მანამ, სანამ ჰუნები გამოჩნდებოდნენ ევროპაში, რაც აძლიერებს მოსაზრებას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოდიფიკაციის პრაქტიკა, შესაძლოა, ალანებისგან გავრცელებულიყო. სტრაბონი და პლინიუსი ასევე აღწერენ სარმატებს, რომელნიც მჭიდრო კავშირში



ტაბ. VIII Tab.

იყვნენ საქართველოს მეფეებთან და გაუწიეს დახმარება რომთან და სომხებთან ბრძოლაში. ეს ისტორიული ცნობები შესაძლოა გამოდგეს იმის არგუმენტად, რომ მომთაბარე ტომებმა, როგორიც იყვნენ ალანები და სარმატები, დაამკვიდრეს მოდიფიკაციის პრაქტიკა. თუმცა სულაც არაა აუცილებელი, რომ ის ვინც ამ პრაქტიკას მიმართავდა აუცილებლად უნდა ყოფილიყო სარმატული ან ალანური წარმოშობის. შესაძლოა, ეს უბრალოდ მიმბაძველობა იყო. ზოგადად, ყველა ადამიანი ცდილობს, მიბაძოს სხვას, ან აითვისოს ისეთი რამ, რაც მისი საზოგადოებისათვის უცხო და განსხვავებულია. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ სამთავროს სამაროვანზე მცხოვრებმა საზოგადოებამაც ეს პრაქტიკა უბრალოდ მომთაბარე ტომებისგან აითვისა. [Mayall et al:2017].



ტაბ. VIII (2) Tab.

სამთავროს სამაროვანზე დაკრძალულთა შორის დიდი რაოდენობით აღინიშნება ზოგიერთი ფიზიოლოგიური სტრესის მარკერი, როგორც დეფორმირებულ თავის ქალებზე, ასევე ნორმალურებზე. განსაკუთრებით მაღალია ჰიპეროსტოზი კეფის ძვალზე , თხემზე , წარბზედა რკალზე . თვალის ჰიპეროსტოზი -Cribra orbitalia შემთხვევაში ვლინდება, ისევე, როგორც ფორთოხლის ქერქის სინდრომი. ფორთოხლის ქერქის სინდრომი თავს იჩენს სიცივის სტრესის შედეგად. Cribra orbitalia- თვალბუდის შიგნითა ზედა მხარეს პათოლოგიური-ჰიპეროსტოზული ცვლილებაა. ჰიპეროსტოზი ხშირად კვებითი სტრესის შედეგია და დაკავშირებულია რიგ დაავადებებთან, როგორიცაა მალარია და სხვადასხვა ანემიები. ქრონიკული კვებითი სტრესის დროს, ორგანიზმი რკინისა და ისეთი მიკროელემენტების უკმარისობას განიცდის როგორიცაა: - Mg, Zn, Cl (Brothwell and all,1961). ეს მარკერი აგრეთვე ვლინდება გადატანილი ინფექციური დაავადებების სიჭარბისა და არახელსაყრელი სოციალური ფაქტორების (უმოქმედობა, ანტისანიტარია და სხვა) დროს. ჰიპეროსტოზების ასეთი მაღალი სიხშირე მოსახლეობაში მრავალი ნეგატიური ფაქტორის არსებობაზე მიუთითებს. იმავე თავის ქალებზე ფიზიოლოგიური სტრესის ინდიკატორების შესწავლისას ცალკე აფიქსირებენ დისკრეტულად ვარირებულ (ეპიგენეტიკურ) ნიშნებს. დისკრეტულად ვარირებული ნიშნების ცვალებადობა ეთნიკური ანთროპოლოგიის, პოპულაციური გენეტიკისა და რასათმცოდნეობის საერთო საკითხების დამუშავებისას კრანიოლოგიური მონაცემების გამოყენების საშუალებას იძლევა. თავის ქალაზე ასეთი გენეტიკური ნიშანია Sutura metopica. Sutura metopica- მეტოპიური ნაკერი, რომელიც შუბლის ძვლის შუა ხაზზე გადის. [ლალიაშვილი შ.2009:25]. დისკრეტულად-ვარირებული ნიშნებიდან სამთავროს სამაროვნის დეფორმანტებში ძალიან მაღალი სიხშირით აღინიშნება მეტოპიური ნაკერი (28%). ეს ფაქტი მიუთითებს, რომ გამოკვლეულ დეფორმანტთა შორის, შესაძლოა, ახლო ნათესავების დიდი რაოდენობა იყოს ჩართული. სხვა

ანომალიებიდან ხშირია ჩართული ძვლები: Os. Incae bipartitum, Os. triquetrum, გვირგვინოვან და საგიტალურ ნაკერში.

ფიზიოლოგიური სტრესის მარკერებისა და ეპიგენეტიკური ნიშნების შესწავლის ფონზე, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ხელოვნური დეფორმაციის მიმდევრები და ნორმალური ინიდივიდები ერთსა და იმავე ეკოლოგიურ გარემოში ცხოვრობდნენ, მეტ-ნაკლებად ერთნაირი კვების სისტემითა და ცხოვრების წესით.

ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაცემების შეჯერების ფონზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამთავროს სამაროვანზე დაკრძალული მოსახლეობა, რომელიც ხელოვნური დეფორმაციის პრაქტიკას მიმართავდა, არ უნდა ყოფილიყო სხვა ეთნოსის წარმომადგენელი. სხვა ეთნოსის შემთხვევაში დაკრძალულნი იქნებოდნენ განსხვავებული წესით, ან არ იქნებოდნენ დარკძალულნი კოლექტიურ სამარხებში არადეფორმანტებთან ერთად და, რაც მთავარია, არ იქნებოდა მეტოპიური ნაკერის ასეთი მაღალი პროცენტი.

ტაბულების აღწერილობა

1. ცირკულარული დეფორმაციის ტიპი;
2. ნეუმანის კლასიფიკაცია;
3. სამთავროს სამაროვნის მდებარეობა;
4. სამთავროს სამაროვნის ინვენტარი
   (დეფორმანტთა შემცველი სამარხებიდან);
5. სამთავროს სამაროვნის ინვენტარი
   (ნორმალური თავის ქალების შემცველი სამარხებიდან);
6. თავის ქალას ჰუნური ტიპი;
7. ჰუნების ექსპანსია;
8. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი დეფორმაციის წრიული ტიპი;

გამოყენებული ლიტერატურა

აბდუშელიშვილი, მ. (1976). კრანიოლოგია.თბილისი.

ბითაძე, ლ., ცეცხლაძე, ო., ლალიაშვილი, შ., ჭკადუა, მ., კაკაბაძე, ე. (2014). პრაქტიკული ანთროპოლოგია. სახელმძღვანელო. თბილისი.

ლალიაშვილი, შ. (2009). „ფიზიოლოგიური სტრესის“ მარკერების გავრცელება საქართველოს მოსახლეობაში უძველესი დროიდან დღემდე და ცხოვრების დონის რეკონსტრუქცია. თბილისი

საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი I, გვ. 47

ვახტანგ ნიკოლაიშვილი, „დიდი მცხეთა“, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

ნიკოლაიშვილი, ვ. (1955). მცხეთა I. თბილისი.

ნიკოლაიშვილი, ვ. (1976). მცხეთა II. თბილისი.

Ashley-Montagu, M. F.(1937). The medio-frontal suture and the problem of metopizm in the

primates. J. Roy Anthrop. Inst. Vol.67.

Khudaverdyan, A. (2011). Trepanation and artificial cranial deformations in ancient Armenia, Anthropological review, Volume 74.N, p.39-55.

Torres-Rouff, C. (2005). Cranial vault modification as a cultural artifact: a comparison of the Eurasian steppes and the Andes, Journal of Comparative Human Biology, p.1-16.

Cook, D.C. (1984). Subsidence and health in the lower Illinois valley: osteological evidence.

Meiklejohn, C., Agelarakis, A., Akkermans, P.A., Smith, P.E.L. and Solecki, R. (1992). Artificial cranial deformation in the proto-neolithic and neolithic near east and its possible origin :evidence from four sites, Peleorient,vol18,N2,p.83-97.

Hippocrates.(1923). Ancient medicine, Airs Watres, places. Epidemics 1 and 3. The oath, Precepts, Nutriment. Translated by W.H.S. Jones, Loeb Classical Library 147, Cambridge,MA: Harwards University Press.

Martin, R. (1928). Lehrbuch der Anthropologie in systematischer Darstellung. 2 Auflage.Jena.

Martin, R, Saller, K. (1956). Lehrbuch der Anthropologie in sistematisher Darstellung begre dent von Rudolf Martin. Drite voling umberbeitete und erveiterte Au Hublage von Karl Saller. Stuttgart.

R. Shane Tubbs, W. Jerry Oaks, George Salter, (2006). Artificial deformation of the human skull: A review.Clinical Anatomy,Volume 19, p.372-377.

P. Mayall, L. Bitadze, V. Pilbrow-Migrating, (2017). Huns and modified heads: Eigenshape analysis comparing intentionally modified crania from Hungary and Georgia in the Migration Period of Europe-PLoS ONE.

O'brien et al. (2013). Artificial Cranial Deformation: Potential Implications for Affected Brain Function, www.researchgate.net.

T.I. Alexeeva, A.P. Buzhilova, M.V. Dobrovolskaya, M.B. Mednikova, R. Walker (2006). Artificial deformation of human head in Eurasian past // OPUS: Interdisciplinary Investigation in Archaeology. Moscow: Institute of Archaeology RAS, Vol. 5. P.248.

Trinkaus, E. (1982). "Artificial Cranial Deformation in the Shanidar 1 and 5 Neander tals". Current Anthropology. 23 (2): 198–199.

Hyan Jin kim. (2016). Huns.New York.

Алексеев, В. П., Дебец, Г. Ф. (1966). Краниометрия. Методика антропологических исследований.М. Наука.

Алексеева, Т. И., Шауро, Э. А. (1970). Аномалии черепа в их географической, социальной генетической обусловленности. В сб. Морфофизиологические исследования в антропологии. М. МГУ, с. 12-185.

Бужилова, А. П. (1992). Изучение физиологического стресса у древнего населения по данным палеопатологии. В сб. Экологические аспекты палеоантропологических и археологических реконструкции. Ин-т Археологии АН СССР. М, с. 78-104.

Бужилова А. П. Изучение физиологического стресса у древнего населения по данным палеопатологии. В сб. Экологические аспекты палеоантропологических и археологических реконструкции. Ин-т Археологии АН СССР. М., (1992)., с. 78-104.

To study the issue of ethnic identity of the population with artificially deformed practices (Based on the example of the Early Middle Age Samtavro population)

Tavartkiladze Nino,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Ninotavartkiladze3@gmail.com

Summary

Intentional cranial deformation is a unique phenomenon widely spread among different peoples. Among the skulls of all chronological periods and cultures found on the territory of Georgia, the earliest evidence of artificial deformation dates back to the IVth millennium BC and can be observed for a long duration of time. However the practice of artificial deformation had not been a constant occurrence, so the frequency and forms of deformations in different periods vary considerably. It is most common in the early medieval period at Samtavro burial ground (Mtskheta). There are 579 different skulls presented from different Georgian sites of early middle ages, of which 126 are deformed, which makes up to 21,7% of the total number. From Samtavro graveyard there are 132 skulls presented, of which 43 are deformed, adding up to 32.5% of the total number. The mean age of non-deformed skulls was 36.1 and that of deformed skulls was 41.3. This means that the practice of artificial cranial deformation has not been affecting life expectancy. Most of the scientists believe that the core reason behind the deformations is a social aspect. They believe that those who modified skull shapes belonged to higher social class. However this is not confirmed by the archaeological data of Samtavro graveyards: there are no differences between funerary inventory of graves, types of burials and funerary practices. If the social aspect was the case, individuals with high social status or different ethnicity would have been buried with the differences in inventory and types of graves. And also the deformed ones and non-deformed ones would not have been buried together in collective tombs.Some of the physiological stress markers are present on both deformed and normal skulls. Hypertension is particularly frequent on the occipital bone, on the parietal bone, and on the glabella. Such a high incidence of hyperostosis in the population indicates the presence of many negative factors. Both deformed and normal individuals lived in the same ecological environment, with more or less the same food system and lifestyle.Another interesting fact is that deformed skulls from Samtavro cemetery had a very high incidence of metopic sutures. This indicates that among the deformed individuals that were studied there may be a large number of close relatives. Anomalies often involve bones such as: Os. Incae bipartitum, Os. triquetrum, crown and sagittal suture.The study of gender and age distribution of the population buried at the Samtavro burial ground, average life duration of individuals with and without cranial deformation, types of their burials and funerary inventory, anomalies and markers of physiological stress, ecological environment and the food system has led us to a conclusion that the practice of deformation was carried out by the local population.

List of Illustrations

1. Type of circular deformation;
2. Classification of Neuman;
3. Location of Samtavro cemetery;
4. Inventory of Samtavro cemetery (from deformed person's burial);
5. Inventory of Samtavro cemetery (from non-deformed person's burial);
6. Hun type of skull;
7. Expansions of Huns;
8. The type of deformed scull from Samtavro cemetery.